

ნინო ბაკურაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: nino. Bakuradze @ atsu. edu. ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.07>

XX საუკუნის ათიანი წლების ქუთაისის ლიტერატურული

ცხოვრების ქრონიკა

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ამ პერიოდის ქუთაისის კულტურულმა ფენომენმა გადაწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტებისა და მწერლების, თეატრალების შემოქმედებითი გზის დასაწყისში, მხატვრული კრედოს შემუშავებასა და საკუთარი სტილის დამკვიდრებაში.

10-იანი წლების ქუთაისის შემოქმედების ცხოვრების სახეს ბევრად განსაზღვრავდა ქალაქის თეატრში და სხვა დაწესებულებებში ჩატარებული ლიტერატურული საღამოები და საჯარო ლექციები. აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სახალხო უნივერსიტეტიც. როგორც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული ცნობებიდან ჩანს, ამ ღონისძიებებს ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული ლექციების, საღამოების, გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შესახებ დაბეჭდილი მასალები ხშირ შემთხვევაში არაა მშრალი, არამედ მათში კარგად ჩანს ხოლმე რეაქციის პოზიცია, ზოგჯერ ირონიული, სარკასტულიც.

გრიგოლ რობაქიძის პიროვნების გარეშე 10-იანი წლების ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება წარმოადგენელია. მისი საჯარო ლექციები, ღრმა ერუდიციით და შეფასებათა მოულოდნელობით, საზოგადოებაში სხვადასხვა რეაქციას იწვევდა.

კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ქუთაისის ინტელიგენციაზე 1911 წლის 5 ოქტომბერს ჩატარებულ ლიტერატურულ საღამოს (გაზ. „მნათობი“, 1911 წ, № 44), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთელმა, გ. ქუჩიაშვილმა, ვ. რუხაძემ, ა. აბაშელმა, შარაშიძემ და სხვებმა.

უცნობი მიმომხილველი ვრცლად ეხება ვინმე ყარიბის რეფერატს, რომელიც ამ უკანასკნელს საღამოს დაწყების წინ წაუკითხავს. ყარიბი საინტერესო შეხედულებებს გამოთქვამს 10-იანი წლების მწერალთა შემოქმედების თავისებურებათა შესახებ. ყარიბის

აზრით, მისი თანამედროვე ქართული ლიტერატურა განიცდის ღრმა კრიზისს. როგორც ლიტერატურაში, ასევე ლიტერატურულ კრიტიკაში გამეფებულია „მრევლური“ ფსიქოლოგია, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ლიტერატურის განვითარებისათვის.

910-იან წლებში ქუთათური პრესა დიდ ყურადღებას უთმობს მასალებს გამოჩენილი მეცნიერის ნიკო მარის შესახებ. 1911 წლის 2 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში ნიკო მარმა წაიკითხა ლექცია: „ქართული ენა მეცნიერებაში“, ლექციამ ბევრი ხალხი მიიზიდა. გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ამ მსმენელთა შორის უმეტესობას, ალბათ, ისეთი პირები შეადგენდა, რომელთაც აინტერესებდათ პატივცემული პროფესორის დანახვა და არა თვით ლექციის შინაარსი.

ქუთაისის კულტურულ ცხოვრებას თავის ტონს აძლევდა ქუთაისის ქართული გიმნაზია. 1911 წლის 27 მარტს, კვირას, გიმნაზიაში გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს ქუთათურთა დიდი მოწონება დაუმსახურებია („კოლხიდა“, 1911 წ. ოქტომბერი № 4). 1912 წლის 10 ივლისს ქუთაისის ადგილობრივი საკრებულოს დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა კოკა აბაშიძემ (გაზ. „დილა“, 1912 წ. № 3) ლექტორმა გაანალიზა აბაშელის, ქუჩიშვილის, გრიშაშვილისა და შანშიაშვილის პოეზია. მან ასეთი დასკვნა გამოიტანა: გრიშაშვილისა და შანშიაშვილის პოეზიას ამჩნევია სოლოგუბისა და ბალმონტის გავლენა. ამ ორ ახალგაზრდა პოეტს მიზნად დაუსახავთ სიყვარული, სილამაზე და არა რევოლუცია.

1913 წლის 31 მარტს, ქუთაისის თეატრში, იოსებ გრიშაშვილის თაოსნობით გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო-მეჯლისი, რომელიც ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა (გაზ. „დილა“, 1913 წ. № 25, 3. 04). პირველ განყოფილებაში საზოგადოებას მოუსმენია დავით კასრამის ლექცია „მშვენიერება ხელოვნებაში“. საღამოზე ლექსები წაიკითხა ი. გრიშაშვილმა. მსმენელთა აღტაცება გამოიწვია პოეტების ცვარ-ნამისა და ვ. რუხაძის მიერ წაკითხულმა ლექსებმა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქუთაისში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეთა შორის ნაკლებად ჩანს გალაკტიონ ტაბიძე. გულისტკივილით წერდა ახალგაზრდა პოეტი 1915 წელს ერთ-ერთი გაზეთის რედაქციის მიმართ გაგზავნილ განმარტებაში: „მოგეხსენებათ, ქუთაისში ხშირად იმართება საღამოები და ძლიერ ძვირად ნახავთ აფიშებს, რომელზედაც ჩემი სახელი და გვარი არ იყოს გამოცხადებული. ყოველ ამგვარ აფიშის წაკითხვის შემდეგ მე სახტად ვრჩები: არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის და ისე კი მაცხადებენ“ (გვეტაძე 1993:34).

1913 წლის 16 იანვარს, შაბათს, ქუთაისის თეატრში პრივატ-დოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ძველი ქართული ხელოვნების

ისტორია" (გაზ. „მერცხალი“, 1913 წ. 15, 19/1) ლექცია მეტად საინტერესო ყოფილა და ინტერესით მოუსმენია საზოგადოებას. 1913 წლის 14 ნოემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ს. დიდიანი, გრ. დიასამიძე, ია ეკალაძე, ჭუმბაძე და სხვები.

რუსი სიმბოლისტები ხშირად სტუმრობდნენ ქუთაისს, ატარებდნენ ლექციებს, კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს, ხვდებოდნენ ქუთათურ საზოგადოებას. 1913 წელს ქუთაისს სტუმრობდნენ თ. სოლოგუბი, იგ. სევერიანინი, ქ-ნი ჩებოტარიოვისა. 1915 წელს ქუთაისში ჩამოდის პ. ბალმონტი. ქართველმა სიმბოლისტებმა შესანიშნავი დღეები აჩუქეს მგოსანს. მასთან შეხვედრა საყოველთაო ზეიმად იქცა ჩვენი ხალხისათვის. ბალმონტმა წაიკითხა ლექცია რუსთაველის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის ნაწყვეტები. ამ დღეებს ბალმონტი უტკბილეს წუთებს უწოდებდა. „გულის ზეიმი“ და „სხივიანი გაზაფხული“ შეარქვა მას. 1916 წელს ქუთაისს ეწვივნენ ვ. კამენსკი და დ. ჰოლცშმიდტი.

1908 წლის 14 დეკემბერს ქუთაისში დიდი ზეიმის დღე იყო, მოეწყო აკაკის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. დღესასწაულის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე იყო მოსე ქიქოძე, მისი ამხანაგი (მოადგილე) დავით კლდიაშვილი. საიუბილეო სხდომაზე აკაკის ბევრი აღფრთოვანებული და მგრძნობიარე სიტყვით მიმართეს. დ. კლდიაშვილს განსაკუთრებით მოწონებით ერთი ბალდათელი გლეხის გამოსვლა. მას აკაკისთვისაც იმდენად უსიამოვნებია, რომ მგოსანს თვალეები ცრემლებით ავსებია და აღელვებულს გადაუკოცნია სოფლელი ორატორი.

ქუთაისის საზოგადოებას კიდევ მალე მიეცა ახალი აღფრთოვანების მიზეზი. ქალაქს პირველად ეწვია ვაჟა-ფშაველა. ქუთათურებმა გაითვალისწინეს პოეტის ვიწრო ეკონომიკური მდგომარეობა და ტანსაცმლის შესაძენად 100 მანეთი გაუზღავნეს.

XX საუკუნის დასაწყისში, ქუთაისის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას მხოლოდ რამდენიმე გაზეთით შეიძლებოდა გაცნობოდით. ესენი იყო: „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი" (1905), „ნაპერწკალი", „მეგობარი" (1906), „ცისკარი", „ისარი", „გრდემლი" (1907), „ფარი", „შრომა" (1908), „შინაური საქმეები" (1908-1915), „ფონი" (1910), აღნიშნული გაზეთები არამარტო ასახავდნენ ამა თუ იმ პარტიის შეხედულებებს, არამედ რევოლუციური იდეების აშკარა პროპაგანდას ეწეოდნენ. ამიტომაც მათი არსებობა რამდენიმე თვით ან უკეთეს შემთხვევაში ერთი წლით შემოიფარგლებოდა, უმეტეს შემთხვევაში „მავნე მიმართულებების" გამო მთავრობის განკარგულებით ისინი იხურებოდა. თუმცა უსახსრობაც უშლიდა ხელს მათ სიცოცხლისუნარიანობას.

XX საუკუნის ათიანი წლებიდან, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით და ადგილობრივი ცხოვრების წინსვლის შედეგად წარმოშობილ პროგრესულ-პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობით, ოფიციალური პარალელურად და ამავე დროს მის საპირისპიროდ, ადგილობრივ ნიადაგზე ჩნდება მთელი რიგი დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ლიბერალურ-დემოკრატიულ-ბურჟუაზიული, ნაციონალისტური და შავრაზმული, სტაბილურად ცენზურირებული და თითქმის ცენზურაგაუვლელი ორგანოები, რომლებიც ისტორიული პირობების მიხედვით, გარკვეულ სოციალურ შეკვეთას ასრულებდნენ და ამიტომ ბუნებრივია, ფლობდნენ საკუთარ კონსტრუქციას, ინდივიდუალურ სტილისტიკას და სარედაქციო მანერას.

ქუთათურ პრესას სათავეში ჩაუდგა რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში განათლებამიღებული ეროვნულად განწყობილი ინტელიგენცია. საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული ქართული გაზეთის არსებობისათვის აუცილებელი იყო ინტელიგენციის მოწინავე ძალა, რომელიც რეაქციასთან ჭიდილში გზას გაუკაფავდა აზროვნების გამოცოცხლებას და პროფესიული ელემენტების შემჭიდროებას.

ათიანი წლების ქუთაისი დიახაც რომ განებივრებული იყო პრესის მრავალფეროვნებით. ქუთაისში პრესის მომძლავრებას ხელს უწყობდა იმხანად რუსეთის იმპერიაში შექმნილი ვითარებაც - ბეჭდვითი სიტყვის ერთგვარი თავისუფლების მინიჭება, ჟურნალისტიკის მასობრივი კომერციალიზაცია, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, მძლავრი საკორესპონდენტო ბირთვის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა (ვაჭრიძე 1979:45). იმდროინდელი ქართული გაზეთები თემატურად მკაცრად დიფერენცირებული იყო და ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მოღვაწეობას მიესადაგებოდა. აშკარად იგრძნობოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსადმი პარტიული მიდგომა, თვით კულტურის საკითხებშიც კი. ქუთათურ პრესაში იკვეთება ოთხი პარტიული მიმართულების შეხედულებები - სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-რევოლუციური.

XX საუკუნის დასაწყისში პირველი ყოველდღიური ქართული გაზეთი ქუთაისში იყო გაზეთი კოლხიდა", რომლის გამოცემა 1911 წლის 25 მარტს დაიწყო და ორი წლის განმავლობაში თითქმის შეუფერხებლად მიეწოდებოდა არა მარტო ქუთათურ საზოგადოებას, არამედ დასავლეთ საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბას, აგრეთვე რკინიგზის სადგურებზე ბაქოსა და ბათუმს შორის. ეს ფაქტი აღნიშნულია კიდევ გაზეთის პირველი ნომრის სარედაქციო წერილში: „...მთელს დასავლეთ საქართველოში, სადაც 1 მლნ-მდე მარტო ქართველობაა, არ არსებობს ყოველდღიური ქართული ორგანო, ასეთი

ორგანოს საჭიროებას ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია გრძნობს... ვიწყებთ გაზეთის გამოცემას იმ იმედით, რომ ქართულ საზოგადოებაში დღეს მოთხოვნილებაც, შეგნებაც და თანაგრძნობაც მეტია ყოველი კულტურული დაწესებულებებისადმი, ვიდრე ეს წინათ იყო" (გაზ. „კოლხიდა“, 1911, №1,3).

იმდროინდელი ქუთათური ქართული გაზეთების რედკოლეგიის წევრებს აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ჟურნალ-გაზეთების სათავეში უნდა მდგარიყო ისეთი ჯგუფი, რომელსაც ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებზე საერთო თვალსაზრისი და იდეალები ექნებოდათ. სწორედ ასეთი მკვეთრად შეკრული ჯგუფები ედგნენ სათავეში ქუთათურ გაზეთებს. საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: გაზ. „მეგობარში“, „ჩვენს მეგობარში" და „ხალხის მეგობარში" მოღვაწეობდნენ: დ. ი. შარაშენიძე, გ. მაიაშვილი, კ. აბაშიძე. ალ. წერეთელი, გრ. გველესიანი, შ. დადიანი, ნ. აბესაძე. ს. გერსამია, დ. მესხი და სხვები. გაზეთებს ჰყავდა საკუთარი კორესპონდენტები არა მარტო საქართველოს დაბა-ქალაქებში, არამედ რუსეთის სატახტო ქალაქებშიც. გაზ. „იმერეთში“, „სამშობლოსა" და „ჩვენს ქვეყანაში" თანამშრომლობდნენ: გრ. გველესიანი, სიმ. ქვარიანი, კოკი აბაშიძე, გრ. რობაქიძე, დ. მესხი, ი. ოცხელი, ს. ყიფიანი, ი. ეკალაძე-ცინცაძე, ვ. წერეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, ალ. თორაძე, შ. ამირეჯიბი, ილ. ფერაძე, ლ. ზვანელი, ზ. ჭიჭინაძე და სხვები.

თითოეული ახალი ქართული პერიოდული ორგანოს გამოჩენას არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვებოდა პრესის მხრიდან. თუ ახალი გაზეთის პარტიული მიმართულება მათთვის მისაღები იყო, აღფრთოვანების წერილებს უძღვნიდნენ, მოწინააღმდეგეთ კი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. მაგ. გაზ. „სამშობლო" დიდი მოწონებით გამოეხმაურა მისივე მიმართულების გაზეთ „საქართველოს" გამოსვლას, იგივე გააკეთა გაზ. „მეგობარმა" „ზვირთის" გამოცემასთან დაკავშირებით, სამაგიეროდ გაზ. „კოლხიდას" გამოსვლას სამი უარყოფითი წერილი უძღვნა იმხანად ქუთაისში გამომავალმა რუსულმა გაზეთმა „კუტაისსკაია ჟიზნ"-მა, იგი იწუნებდა მის მიმართულებას და ლანძღვა-გინებასაც არ იშურებდა გაზეთის რედაქტორის მისამართით.

ქუთაისის ქართული პრესა მიუხედავად მძლავრი პოლიგრაფიული ბაზისა, შეფერხებით გამოდიოდა. მიზეზი მრავალგვარი იყო: უპირველეს ყოვლისა - საგაზეთო ქაღალდის სიძვირე, ხშირად კი მისი შეწყვეტა ან დაგვიანებით ჩამოსვლა ქალაქში, რის გამოც გაზეთები უხეშ, დაბალი ხარისხის ქაღალდზე ან შემცირებული ფორმატით გამოდიოდა. საკმარისი არ იყო ყოველდღიური გაზეთების კვალიფიციური ასოთამაშყობების რიცხვიც. გაზ. „კოლხიდა" აღნიშნავდა, „გაზეთს გამოცემის

დასაწყისშივე ბევრი ტექნიკური დაბრკოლება ხვდა. ქალაქში არ არის გაზეთის გამოცემისათვის ასოთამწყობთა საკმაო რიცხვით" ან კიდევ, გაზ. „იმერეთი“ იტყობინებოდა: „გაზეთის განახლება ცუდ დროს გვიხდება, რადგან ქუთაისში ყოველდღიურ გამოცემაზე მომუშავე რიგიანი ასოთამწყობი დღეს თითქმის არ მოიძებნებაო“ (გაზ. „კოლხიდა“ 1911, №2. გაზ. „იმერეთი“, 1913, №51).

ქუთათური ქართული გაზეთების უმრავლესობა წარმოადგენდა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო დამოუკიდებელ გაზეთებს, რაზეც თითოეული მათგანის თავფურცელი იუწყებოდა.

XX საუკუნის ათიანი წლების ქუთაისში გამომავალი ქართული პრესა (განსაკუთრებით სოციალ-ფედერალისტური და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების) იმ პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე პუბლიცისტურ გამოცემად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნულ გაზეთებში პუბლიცისტიკას უპირველესი ადგილი უჭირავს როგორც რაოდენობრივად, ისე მნიშვნელობით, მწვავე საზოგადოებრივი პრობლემებია წამოჭრილი ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაწერებშიც.

ჩვენს მიერ განხილული პრესის თემატიკა და ჟანრობრივი შემადგენლობა უაღრესად აქტუალური და მრავალფეროვანია: ლიტერატურული კრიტიკა, ახალი ამბები, ფელეტონი, ნარკვევი, მოწინავე წერილები, საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა, პარტიულ-თეორიული, სამეურნეო-ეკონომიკური საკითხები, აღზრდა განათლების სისტემა, ერთა შორის დამოკიდებულება, ქართული ეკლესიის მდგომარეობა და სხვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქუთათური პრესა ყურადღების გარეშე არ ტოვებდა ქვეყანაში მიმდინარე არცერთ ცოტა თუ ბევრად საყურადღებო მოვლენას.

ქუთათურ პრესაში ბევრი პრობლემური საკითხი ეძღვნებოდა სასოფლო-სამეურნეო საქმის გაუმჯობესებას. პუბლიცისტები ხალხისათვის გასაგებ ენაზე განიხილავდნენ სოფლის მეურნეობის განვითარების ამერიკულ და ევროპულ გზებს და უპირატესობას პირველს ანიჭებდნენ.

პრესაში ფართო მსჯელობის საგანი იყო ქალთა ემანსიპაციის საკითხები. საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ერთ-ერთი პირველი აკაკი წერეთელი გამოვიდა. ჯერ კიდევ 1902 წელს გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე იგი მოითხოვდა ქალთათვის განათლების მიღების აუცილებლობას, მის საზოგადო საქმეში ჩაბმას.

დროდადრო ქუთათური პრესა საყურადღებო ინფორმაციებს ბეჭდავდა სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო კუთხით. პუბლიცისტები ფართოდ აშუქებდნენ სწავლა-აღზრდის საკითხებს, აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში, სწავლა-აღზრდის მთელ სისტემას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 10-იან წლებამდე ქუთათური პრესა სისტემატური არ იყო. გამოცემათა ხანგრძლივობა რამდენიმე თვით განისაზღვრებოდა. მართალია მათში საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საკითხი იყო დასმული, მაგრამ ნაკლებ ისახებოდა ქალაქის კულტურული მაჯისცემა, ლიტერატურული ცხოვრება.

ლიტერატურის კრიტიკოსები პრესის ფურცლებზე აყალიბებდნენ პოეტის, მწერლის სახეს. მათი იდეალი იყო ისეთი პოეტი, რომელიც თავისი ერის სულთასწრაფვის განმასახიერებელი იქნებოდა.

900-იანი და 910-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ილი ჭავჭავაძის თემას. პრესა ძირითადად ილიას მუხანათური მკვლევლობის ირგვლივ ტრიალებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს მის მხატვრულ შემოქმედებას. ქართველთათვის ამ სამარცხვინო ტრაგედიის აჩრდილი თან გასდევს XX საუკუნის I ოცწლეულის ქუთათურ პრესას. ამ კუთხით კიტა აბაშიძის და მისი მამხილებელი წერილების წინააღმდეგ ხმას იმაღლებენ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთები: „მერცხალი“, „ფონი“, „განთიადი“, „თანამედროვე ქვეყანა“ და სხვები.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები არსებით გავლენას ახდენდნენ იმპერიაში შემავალი ყველა ერის, მათ შორის ქართველი ერის მომავალზე. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ქართველი ხალხის პოლიტიკური და კულტურული თვითგამორკვევის, საკუთარი პოზიციის განსაზღვრის აუცილებლობა. ამ საქმეში კი მაკოორდინირებელი როლი ქართულ პრესას უნდა შეესრულებინა, რომელსაც შეეძლო არა მარტო გაეერთიანებინა ქართველი ერის დაქსაქსული ძალები, არამედ აემაღლებინა მათი ეროვნული შეგნება და სიყვარული მამულისა და სამშობლოსადმი, ხელი შეეწყო უკეთესი მერმისისათვის სათანადო პირობების მომზადებისათვის.

1914 წელს, სამწლიანი აქტიურობის შემდეგ, ქუთაისში გალაკტიონმა შეძლო პირველი წიგნის გამოცემა. საამისო სამზადისს იგი 1912 წლიდან შედგომია და ხელისმომწერთა შეგროვებაც უცდია, მაგრამ, პოეტისავე თქმით, მისი ეს განზრახვა „წარმოდგენელი კატასტროფით თავდება: წიგნს წინასწარ მხოლოდ 15 კაცმა მოაწერა ხელი“. ასევე „სრული ფიასკოთი დამთავრდა“ პოეტური კრებულის გამოცემის მცდელობა მეორეჯერაც - 1913 წელს.

ოცნების ასრულება პოეტმა მხოლოდ 1914 წელს შეძლო - ბოლოს და ბოლოს, დიდი ძალისხმევების შედეგად, მან მოახერხა მკითხველთა სამსჯავროზე გამოეტანა, როგორც თავადვე ამბობს, თავისი „მწუხარე წიგნი“.

ლიტერატურული საზოგადოება წიგნს უდიდესი ინტერესით შეხვდა, რისი დადასტურებაცაა მასზე გამოქვეყნებულიარაერთი რეცენზია და გამოხმაურება. გ. ტაბიძის სახელი კიდევ უფრო ფართოდ გახშირდა მწერლურ სამყაროშიც და მკითხველთა ფართო წრეებშიც. ყველა ერთსულოვნად აღიარებდა რომ გალაკტიონის სახით ქართულ პოეზიას უდიდესი პერსპექტივების მქონე შემოქმედი შემოემატა. ახალგაზრდა პოეტის ლექსები მიჩნეული იყო პოეტურ ტრადიციათა ღირსეულ გაგრძელებად. კრიტიკოს-შემფასებელთა აზრით, გალაკტიონი „მსოფლიო სევდის“ გამომხატველი პოეტი იყო, „უხვად დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით“, „მარტოობის ორდენის კავალერი“, იდუმალი ჯადოს მფლობელი შემოქმედი... ასე შეაფასა ათიანი წლების ლიტერატურულმა საზოგადოებამ გ. ტაბიძის პირველი წიგნი. ეს შემფასებელნი კი რა დიდ მწერლურ ავტორიტეტებსაც წარმოადგენდნენ, ამაზე მათი სახელების გახსენებაც იკმარებდა - ა. წერეთელი, ი. ეკალაძე, კ. აბაშიძე, ი. იმედაშვილი, ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე.

ამრიგად, ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება მე-20 საუკუნის ათიან წლებში მეტად აქტიური და შემოქმედებითად დატვირთული იყო. ღონისძიებები, მრავალფეროვანი პრესა, სხვადასხვა შინაარსის წიგნები გარკვეულწილად ასახავდა იმ კულტურულ გარემოს, რომელიც მაშინ იმერეთში სუფევდა.

ლიტერატურა

1. ასათიანი ლ., ლიტერატურული წერილები, ნარკვევები, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1968.
2. ბუხნიკაშვილი გ. თეატრალური ქუთაისი, თბ., 1976 წ.
3. გაფრინდაშვილი ე. ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, თბ., 1959 წ.
4. გვეტაძე ო., ლიტერატურული წერილები, გამომცემლობა „სარანგი“, ქუთაისი, 1993 წ.
5. ვაჭრიძე პ., როტაციონის ბრუნავს მანქანა, ქუთ., 1979, გვ. 353-61, 106-107.
6. ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 2007 წ.
7. ნიკოლეიშვილი ა., „XX საუკუნის ქართული მწერლობა“, ქუთ., 2002 წ.
8. ნიჟარაძე მადონა, ქუთაისის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება პერიოდული პრესის მიხედვით (1908-1911). ქუთაისი, 2005.
9. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, წიგნი III.
10. წერეთელი დ. „გაზეთი „კოლხიდა“, გამომცემლობა „იმერეთი“, ქუთაისი, 1994 წ.

Nino Bakuradze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

e-mail: nino.bakuradze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.07>

Chronicle of the Literary Life of Kutaisi in the 1910s

Abstract

The literary life of Kutaisi at the beginning of the 20th century, particularly in the 1900s and 1910s, was rich and diverse. In many ways, it can be considered a unique phenomenon in the history of Georgian culture. During this period, Kutaisi played a pivotal role in the early careers of prominent Georgian poets, writers, and theater artists, influencing the development of their artistic beliefs and the formation of their distinct styles. A large portion of Kutaisi's society followed the latest trends in literature and culture with great interest and actively participated in their evaluation.

The creative life of Kutaisi in the 1910s was largely shaped by literary evenings and public lectures held at the city theater and other institutions. The Public University also played an active role in this cultural movement. As evidenced by reports in the periodicals of the time, a significant portion of the city's population attended these events. It is noteworthy that the written accounts of these lectures, evenings, and published works were often not dry or impersonal; instead, they clearly reflected the responses of the audience, sometimes with irony or even sarcasm.

The cultural life of Kutaisi during this period was largely defined by the Kutaisi Georgian Gymnasium. The performances and literary evenings staged at the Georgian Theater were central to the city's artistic landscape. Additionally, Kutaisi in the 1910s was spoiled by the diversity of its press.

The literary community eagerly awaited the publication of new books, and this is confirmed by the numerous reviews and responses written about Galaktion Tabidze's works. In 1914, Tabidze's name became widely recognized, both in the literary world and among broader circles of readers. It was universally acknowledged that Galaktion was a promising new voice in Georgian poetry.